მატჩი ტაშკენტში

ტაშკენტი. “ფახთაქორის” სტადიონი. 4 ივნისი.

“ფახთაქორი” (ტაშკენტი) – “დინამო” (თბილისი) 1:0 (1:0).

“ფახთაქორი”: იანოვსკი, იაკიმცოვი, ბელიალოვი, ჟურავლიოვი (ვოლკოვი), დენისოვი, პეტრუშინი, ბონდარენკო, იაკუბიკი, ივანოვი, ნოვიკოვი (ამრიევი), კაბაევი.

“დინამო”: აბუსერიძე, დურდიაძე (უკლება), ჩივაძე, ჟორჟიკაშვილი, ჯოხაძე (დანელია), კოპალეიშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, კაკილაშვილი, შენგელია.

მსაჯი: ა. ხორლინი (მოსკოვი).

დუბლიორები – 0:0.

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ტაშკენტში გამართულ ამ მატჩში, რომელსაც ორივე გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ანგარიში საკმაოდ მალე გაიხსნა: მე–14 წუთზე დინამოელთა მცველებმა შეცდომა დაუშვეს და “ფახთაქორის” საუკეთესო ბომბარდირმა იაკუბიკმა ხელიდან არ გაუშვა ხელსაყრელი მომენტი – 1:0.

სტუმრებმა პირველ ტაიმში ვერაფერი მოუხერხეს მეტოქეს, შესვენების შემდეგ კი ხანგრძლივ შეტევაზე გადავიდნენ.

შუა ტაიმში თბილისელთა შეტევების სიმწვავემ მოიკლო, რამაც საშუალება მისცა “ფახთაქორს” ჯერ გამოესწორებინა მდგომარეობა, შემდეგ კი რამდენიმე სახიფათო კომბინაცია განეხორციელებინა.

მატჩის დასასრულს თბილისელებმა კვლავ ხელთ იგდეს ინიციატივა, კვლავ შეუტიეს, მასპინძელთა საჯარიმო მოედანთან ხშირად გადიოდნენ კოპალეიშვილი, ჩივაძე, სულაქველიძე, მაგრამ…

თბილისის “დინამომ” მიმდინარე ჩემპიონატში უკვე მეექვსე დამარცხება განიცადა.

“ლელო”, 4 ივნისი, 1983 წ.